

საქართველოს კანონი

“პოლიციის შესახებ” საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. “პოლიციის შესახებ” საქართველოს კანონის (საქართველოს პარლამენტის უწყებები, 1993 წელი, №9, მუხ. 187) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები:

1. მე-8 მუხლის „ც“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ც) აღასრულოს სასამართლოს, პროკურორის და გამომძიებლის გადაწყვეტილებები დაკავების ან დაპატიმრების შესახებ, ასევე მოსამართლის დადგენილებები ადმინისტრაციული დაპატიმრების შესახებ, უზრუნველყოს დაკავებული ან დაპატიმრებული პირის დაცვა და წინასწარი პატიმრობის დაწესებულებაში გადაყვანა“.

2. მე-13 მუხლის მე-4 პუნქტის “დ” ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) დაკავების ან წინასწარი პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებიდან გაქცევის აღსაკვეთად“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2007 წლის პირველი აგვისტოდან.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი